

ადექსანდრე ბერკმანი

ALEXANDER BERKMAN

ანარქიზმის ანბანი

THE ABC OF ANARCHISM

ბამბახვედომბა აქტი

თბილისი -- 2021

თარგმანი შესრლებულია შემდეგი გამოცემის
მიხედვით: FREEDOM PRESS, 1977

მთარგმნელი: გია ბერაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა
კორექტორი: ეკატერინე კვიციანი
ყდის დიზაინი: სალომე ჩადუნელი

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: **AKTI.GE**

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3931-3

ՆԱԿԱԳՅՈՒՄ

ՏՈՒՆԱԿԱԳՅՈՒՄԻ ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ԺԱՐՏՈՒՄԻ ԹԱՅՄԱՆՈՒՄԻ ՆԱԿԱԳՅՈՒՄ	
ՅՈՒՆԻՍԿՈՒՄ ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ.....	8
ՅՈՒՆԻՍԿՈՒՄ ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ.....	14
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ	
ՎՈՐՈՇՈՒՄ ԵՄԵՆԻ.....	17
ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ՆԱԿԱԳՅՈՒՄ	
ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ԵՄԵՆԻ.....	35
ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ՆԱԿԱԳՅՈՒՄ.....	37
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ I	
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ.....	41
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ II	
ՎՈՐՈՇՈՒՄ ԵՄԵՆԻ ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ԵՄԵՆԻ.....	44
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ III	
ՎՈՐՈՇՈՒՄ ԵՄԵՆԻ.....	56
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ IV	
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ ԵՄԵՆԻ ԵՄԵՆԻ ՎՈՐՈՇՈՒՄ.....	61
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ V	
ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ՎՈՐՈՇՈՒՄԻ	
ԵՄԵՆԻ ԵՄԵՆԻ – ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ԵՄԵՆԻ ԵՄԵՆԻ.....	73
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ VI	
ՎՈՐՈՇՈՒՄԻ ՎՈՐՈՇՈՒՄԻ.....	96
ԹԱՆԿԱԳՅՈՒՄ VII	
ՎՈՐՈՇՈՒՄ ԵՄԵՆԻ.....	100

თავი VIII	
იდეა მნიშვნელოვანია	108
თავი IX	
მოთხადება.....	118
თავი X	
მუშაობის ორგანიზება სოციალური	
რეკონსტრუქციის.....	138
თავი XI	
პროცესები და პრაქტიკა	165
თავი XII	
მოხმარება და მასვლა.....	172
თავი XIII	
წარმოება.....	186
თავი XIV	
რეკონსტრუქციის დასვა.....	200
ბათუმის მუნიციპალიტეტის „აქტი“-ს მიერ გამოყვანილი ნიშნები...	211

სარჩევი

ვეფხვია მანია:

წინასიტყვაობა პირველი ქართული გამოცემისათვის.

პოვარდ ზინის წინასიტყვაობა.

პიტერ ნიუელი: შესავალი.

ავტორის წინასიტყვაობა.

1. შესავალი.

2. ანარქიზმი ძალადობაა?

კაპიტალიზმი და მთავრობა ძალადობისა და არეულ-დარეულობის მომხრეა. ანარქიზმი – პირიქით. რატომ მიმართავენ ანარქისტები ხანდახან ძალადობას. თუ თქვენ მთავრობას უჭერთ მხარს, თავს ისე ნუ აჩვენებთ, თითქოს თავზარდაცემული ხართ ინდივიდუალური ძალადობით. მოძალადე ხელისუფლების უარყოფა ერთადერთი გულწრფელი პროტესტია ძალადობის წინააღმდეგ.

3. რა არის ანარქიზმი?

შეგიძლია თუ არა ვიყოთ მთავრობის გარეშე? რა მოხდება თუ მას გავაუქმებთ? კერძო საკუთრება სოციალური არსებობისთვის საჭირო საშუალებებზე, მთავრობასთან ერთად უნდა გაქრეს. ეკონომიკურ თანასწორობას მიყვავართ ნებაყოფლობით კომუნიზმთან, რომელიც არის კომუნისტური ანარქიზმი. ფუნდამენტური განსხვავება თავისუფალ და იძულებით კომუნიზმს შორის.

4. შესაძლებელია თუ არა ანარქია?

რა როლს თამაშობს მთავრობა თქვენს ცხოვრებაში? ადამიანი – სოციალური არსება. მისი საჭიროებები და მიდრეკილებები ერთიანობასა და მრავალმხრივ ძალისხმევას მოითხოვს. ბევრი

ბოროტება დათრგუნვისა და უსამართლობის გამო ხდება. დანაშაული მოძალადე ხელისუფლების კანონიერი პირმშოა. როგორ ეპყრობიან ანარქისტები ბოროტმოქმედებს.

5. კომუნისტური ანარქიზმი მოქმედებაში – განხორციელებადია თუ არა?

თანაბარი შესაძლებლობების ხასიათი. სოციალური მესაკუთრეობა და მონაწილეობა. სიზარმაცე ნიშნავს შესაფერის კაცს შეუფერებელ ადგილზე. თავისუფლება ნიშნავს დივერსიფიკაციას. ის ცხოვრებას უფრო საინტერესოსა და მდიდრულს გახდის.

6. არაკომუნისტი ანარქისტები.

მუტუალიზმისა და ინდივიდუალური ანარქიზმის მოკლე მონახაზი.

7. რატომ რევოლუცია?

ჩვენ ისევ ბარბაროსები ვართ. ერები ისევ ომობენ იმის ნაცვლად, რომ საერთო საქმისთვის გაერთიანდნენ. ჩვენ ცივილიზებულები გავხდებით მხოლოდ მაშინ, როცა კლასთა ბრძოლა დამთავრდება. ცხოვრების ბატონ-პატრონებს მტკიცედ აქვთ გადანყვეტილი თავიანთი მდგომარეობა შეინარჩუნონ. რატომ არის რევოლუცია გარდაუვალი?

8. იდეა მნიშვნელოვანია.

მთავრობა და კაპიტალიზმი, თუმცა კი ორივე ბოროტებაა, განაგრძობს არსებობას იმიტომ, რომ შენ გჯერა მათი და მხარს უჭერ მათ. ინსტიტუციებს, რომლებიც ერთ დროს უნივერსალურად სამართლიანად მიიჩნეოდა, ახლა გამობენ. ამბობება ბრმაა. რევოლუცია, როგორც ამბობება, თავის მიზნებს აცნობიერებს. სოციალური რევოლუციის ხასიათი.

9. მომზადება.

თანამედროვე რევოლუცია ბარიკადებს არ ნიშნავს. მშრომელთა „ისტორიული მისიის“ ბინიერი ცნება. არა მისია, არამედ მათი ინტერესი, თავი გაითავისუფლონ. განსხვავება პოლიტიკურ და სოციალურ რევოლუციებს შორის. ტვინიც ისევე, როგორც ხელები.

10. მუშების ორგანიზება სოციალური რევოლუციისათვის.

წარმოება, განაწილება და კომუნიკაცია – არსებობის ძირითადი წყაროები. საყოველთაო გაფიცვა, როგორც სოციალური რევოლუციის დასაწყისი. რატომ მარცხდება გაფიცვების უმრავლესობა. თანამედროვე პროფკავშირების ყალბი პრინციპები და არაეფექტური ქმედებები. საამქროების კომიტეტები, როგორც ორგანიზებულ მშრომელთა ერთეულები. მრეწველობის საკუთარ ხელში აღება.

11. პრინციპები და პრაქტიკა.

რევოლუციის ძალა არმიაში კი არ არის, არამედ მრეწველობაშია. მართლმსაჯულების როლი. რატომ არის სოციალური რევოლუცია დამოკიდებული თავისუფლებასა და თანასწორობაზე.

12. მოხმარება და გაცვლა.

მოხმარების ორგანიზაცია. თანაბარი წილი. ფულის უსარგებლობა. „ვინც არ მუშაობს, არ ჭამს“. ბოროტი პრინციპი, რომელსაც ბოროტი შედეგი მოჰყვება. ადგილობრივი უსაფრთხოება და სანიტარია. იდეალიზმისა და რევოლუციის უზენაესი მნიშვნელობა.

13. წარმოება.

მრეწველობა რეკონსტრუქციის პირობებში. მრეწველობის სოციალიზაცია კაპიტალისტური სისტემის ბევრ რთულ პრობლემას წყვეტს. დღეს გაყიდვაზე უფრო მეტი შრომა იხარჯება, ვიდრე წარმოებაზე. დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა. ქვეყანამ, რომელშიც რევოლუცია ხდება, საკუთარი თავი უნდა უზრუნველყოს. მცირე წარმოება და ოჯახური მრეწველობა.

14. რევოლუციის დაცვა.

რა წარმოადგენს რევოლუციის რეალურ ძალას. ფაბრიკებისა და ჯარისკაცების კომიტეტები რევოლუციის დაცვისა და ქმედებების პირველწყარო. კონტრრევოლუციონერებთან დამოკიდებულება. ჩახშობა და ტერორი დესტრუქციულია. თავისუფლება და თანასწორობა საუკეთესო დაცვაა.

წინასიტყვაობა პირველი ქართული გამოცემისათვის

ვეფხვიან მანია

პოლიტიკურ თეორიაში ქართულ ენაზე ყველაზე ნაკლები ლიტერატურა უდავოდ ანარქიზმზეა. მეტიც, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს სიტყვა სრულიად სხვა, ნეგატიურ მნიშვნელობას ატარებს, მიუხედავად ხალხის ბუნებრივად ანარქისტული მისწრაფებისა, განსაკუთრებით კი საქართველოში, უბატონო, მთიანი, ტერიტორიების დიდი ტრადიციისა. ანარქიზმის ნეგატიურად აღქმის მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და ეს საკვებით გასაგებია იმ მარტივი მიზეზით, რომ ანარქისტები მიიჩნევიან ბოროტმოქმედებად, როგორც ეს ამერიკის სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ სიკვდილმისჯილმა იტალიელმა ემიგრანტმა, ბართოლომეო ვანზეტიმ წარმოთქვა მეოცე საუკუნის დასაწყისში: „ანარქისტები არიან რადიკალებზე რადიკალები – ყველა ფანატიკოსის, ექსპლუატატორების, შარლატანების, თაღლითებისა და მჩაგვრელების შავი კატები და კოშმარები. შესაბამისად, ჩვენ ვართ ყველაზე მეტად ცილისწამებულები, არასწორად ინტერპრეტირებულები და დევნილები“.

არადა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის მთავარ ფიგურებს შორის ერთ-ერთი იყო ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ისეთ რევოლუციონერებთან ერთად, როგორებიც

იყვნენ პეტრე კროპოტკინი, ლუიზა მიშელი, ელიზე რეკ-ლიუ, ჯეიმს გილიომი და სხვები. ჩერქეზიშვილი 1879 წელს მონაწილეობდა ევროპაში პირველი ანარქისტული გაზეთის „Le Révolté“ გამოცემაში. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, 1905 წელს ვარლამი და სხვა ქართველი ანარქისტები დაბრუნდნენ საქართველოში და დაიწყეს აქტიური რევოლუციური საქმიანობა. თავისი საქმიანობა ანარქისტულმა ჯგუფმა საკუთარი სტამბის დაარსებით დაიწყო. ისინი გამოსცემდნენ ბროშურებს, გაზეთებსა და პროკლამაციებს. ერთ-ერთ ანარქისტულ ჟურნალ „ნობათს“ რედაქტორობდა ანარქისტი პოეტი ქალი დომინიკა ერისთავი – „განდეგილი“. გამომცემლობისა და სხვა აქტივობებისთვის რესურსების წყარო იყო როგორც ლეგალური, მაგალითად, მიტროფანე ლალიძე მინერალური წყლების ბიზნესით აფინანსებდა ამხანაგებს, ისე არალეგალური, მაგალითად, ის თანხა, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უმსხვილესი ექსპროპრიაციის შედეგად, 1907 წელს ქალაქ დუშეთში, იქნა ამოღებული. მაშინ ანარქისტებმა ხაზინიდან 250 000 რუბლი, იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა, გაიტანეს. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთელი იმპერიის ტერიტორიაზე რეპრესიების ტალღა დაიწყო. უამრავი ანარქისტი დააპატიმრეს და ზოგს დახვრეტა ზოგს კი კატორღა ან ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. მხოლოდ რამდენიმე ანარქისტმა შეძლო საზღვარგარეთ წასვლა, მათ შორის იყო ჩერქეზიშვილი. 1907 წლის პირველ რუსულ რევოლუციას და 1917 წლის თებერვლის რევოლუციას შორის გასულ 10 წელიწადს ხშირად რეაქციის ათწლეულს უწოდებენ. ამის მიუხედავად, დარჩენილი ქართველი ანარქისტები აგრძელებდნენ მუშაობას, ოღონდ იატაკქვეშ. მხოლოდ რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, ამჯერად უკვე წითელმა ბელადებმა, არნახული ტერორის გზით შეძლეს კავკასიაში ანარქისტული ბრძოლის ხანძრის

საბოლოო ჩაქრობა. ათასობით ანარქისტი გააციმბირეს, დახვრიტეს და წამებით მოკლეს NKVD-ს¹ სარდაფებში.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის დროს, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დამხობას თან სდევდა ანარქისტული ლოზუნგები: „პური და თავისუფლება!“ და „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ახალი რეჟიმის ყოველდღიური პრაქტიკისგან ძალიან შორს იყო. რევოლუციის ანარქისტი გმირი იყო უკრაინელი ნესტორ მახნო. ის სათავეში ჩაუდგა გლეხების მიერ მიწების მოპოვებას და იცავდა მათ როგორც ბოლშევიკებისგან, ისე თეთრებისგან. გადასახლებიდან ქვეყანაში ბრუნდებოდნენ ემიგრანტები. მათ შორის იყვნენ, აშშ-დან დეპორტირებული ემა გოლდმანი და ალექსანდრე ბერკმანი; ასევე კროპოტკინი და ჩერქეზიშვილი, რომლებიც იძულებული იყვნენ 40 წელი ეცხოვრათ საზღვარგარეთ. კროპოტკინმა კრიტიკული წერილები გაუგზავნა ლენინს და დაწერა – „წერილი დასავლეთ ევროპის მშრომელებს“, მათთვის რუსული რევოლუციის გაკვეთილებების აღწერის მიზნით. 1921 წელს, მისი გასვენება უკანასკნელი შესაძლებლობა იყო ანარქისტებისთვის, რათა თავისუფლებაში ენახათ ერთმანეთი. ამავე წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ვარლამ ჩერქეზიშვილი საბოლოოდ გაიხიზნა, ის გარდაიცვალა 1925 წელს ლონდონში.

საბჭოთა რუსეთიდან წასული გოლდმანი და ბერკმანი შეეცადნენ სიმართლე ეთქვათ ლენინის რუსეთის შესახებ, მაგრამ დასავლეთის მემარცხენე წრეებში უკუაგდეს მათი მცდელობა და შეაფასეს, როგორც „კონტრრევოლუციური“ ნაბიჯი. მემარცხენეების მხრიდან ასეთივე მტრული დამოკიდებულება ხვდათ წილად სხვა ანარქისტებსაც, რომლებიც

1. NKVD – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შსსკ (რუს. Народный комиссариат внутренних дел, НКВД). ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში 1917-1946 წლებში. შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ჰოვარდ ზინის წინასიტყვაობა¹

ეჭვი მაქვს, რომ ალექსანდრე ბერკმანის სახელს გადააწყდეთ ამერიკულ სკოლებსა და კოლეჯებში გამოყენებული ისტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში. ისტორიის სწავლის მრავალი წლის განმავლობაში, ბაკალავრის პროგრამასა და მაგისტრატურაზე, არასოდეს წამიკითხავს ან გამიგია ალექსანდრე ბერკმანის სახელი, კოლუმბიის უნივერსიტეტში ისტორიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში დოქტორის ხარისხის მოპოვებამდე.

არც მისი მთელი ცხოვრების ამხანაგის, ემა გოლდმანის, სახელი გამიგია. მართალია, მას დღეს ბევრად უკეთ იცნობენ, რადგან სამოციანი წლების ქალთა მოძრაობამ გააცოცხლა და პოპულტურაში გადაიყვანა, იქამდე, რომ ჰოლივუდის ფილმშიც კი მოექცა (*Reds directed by Warren Beatty*) და ცნობილ რომანში (*Ragtime a novel by E. L. Doctorow*).

ალექსანდრე ბერკმანს ასეთი ყურადღება არ ხვდა წილად, მიუხედავად იმისა, რომ ის და ემა გოლდმანი მჭიდროდ იყვნენ ასოცირებულები ამერიკის ისტორიაში არაერთ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან, როგორც იყო ინდუს-

1. **ჰოვარდ ზინი** (1922-2010) ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი. მის ყველაზე პოპულარულ ნიგნებს შორისაა, „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის ისტორია 1492 წლიდან დღემდე“ (1980 წლამდე). განსხვავებით მეინსტრიმული ისტორიკოსებისაგან, რომლებიც ისტორიას მმართველი ელიტის თვალთახედვიდან აღწერენ, ჰოვარდ ზინი, ისევე როგორც პეტრე კროპოტკინი, ისტორიას „ქვემოდან“ კითხულობს, საიდანაც ხალხის ხმა ისმის.

ტრიალისტი ჰენრი კლეი ფრიკის მკვლევლობის მცდელობა 1892 წელს და პროტესტი ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის წინააღმდეგ.

მე არ დავინტერესებულვარ ემა გოლდმანით, თუმცა ბუნდოვნად ვიცოდი მის შესახებ, დაახლოებით 1970 წლამდე, სანამ არ შევხვდი თანამემამულე ისტორიკოსს, რიჩარდ დრინონს, რომელმაც გამაცნო მისი ნაშრომი ემა გოლდმანის ბიოგრაფიაზე, სახელწოდებით „სამოთხეში ამბოხებული“ (Rebel in Paradise). სწორედ ამ ნაშრომში და ემას არაჩვეულებრივ ავტობიოგრაფიაში, Living My Life, გავიგე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ალექსანდრე ბერკმანი და როგორ გადაეჯაჭვა მათი ცხოვრება წლების განმავლობაში.

როდესაც ბოსტონის უნივერსიტეტში დავინყე პოლიტიკური თეორიის სწავლება, გავიაზრე, რომ ანარქიზმის იდეები არ იყო პოლიტიკური ფილოსოფიის ორთოდოქსულ ისტორიებში. ვიცოდი, რომ ბერკმანი წერდა ანარქიზმზე, მაგრამ ვერ ვიპოვე მისი ნაშრომები. თუმცა აღმოვაჩინე, რომ ინგლისის პატარა ანარქისტულ პრესას ჰქონდა გამოცემული მის მიერ დაწერილი ბროშურა სახელწოდებით „The ABC of Anarchism“.

მისი წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ეს იყო ანარქისტული ფილოსოფიის ყველაზე მოკლე და ნათელი პრეზენტაცია, რაც კი შემხვედრია. რამდენიმე ასეული ეგზემპლარი შევუკვეთე, რომ ინგლისიდან გამოეგზავნათ ჩემი სტუდენტებისთვის. მისი წაკითხვა თვალის ახელის ტოლფასი იქნება მათთვის, ვინც არ არის დარწმუნებული იმაში თუ რა არის ანარქიზმი.

ყველაზე გავრცელებული შეცდომა ანარქიზმთან დაკავშირებით არის მისი ძალადობისგან განუყრელი აღქმა. „ანარქიზმის ანბანში“ ბერკმანის მსჯელობა ძალადობაზე აღსანიშნავია მისი დახვეწილობით. მისი არგუმენტები ყველაზე დამაჯერებელია, რაც კი გამიგია ამ საკითხზე.

ბერკმანი და გოლდმანი იმედგაცრუებულნი დარჩნენ საბჭოთა კავშირით და კომუნისტური იდეის დამახინჯებით იმაზე დიდი ხნით ადრე, სანამ ეს მემარცხენეების უმრავლესობისთვის გახდებოდა ნათელი. მისი ნაწერები ამის შესახებ, რომელსაც ნიგნში შეხვდებით, მომდინარეობს ლენინის მმართველობის ადრეულ წლებში მიღებული გამოცდილებიდან. მისი სათქმელი განსაკუთრებით საინტერესო იქნება დღეს, საბჭოთა ექსპერიმენტის კრაზის შემდეგ.

ბერკმანის „ანარქიზმის ანბანი“ არის ძალიან კარგი საწყისი ნერტილი ანარქისტული იდეების გასაცნობად, რომლებიც უფრო და უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე მთავრობების, კორპორატიული დაუნდობლობისა და გაუთავებელი ომების ეპოქაში.

ჰოვარდ ზინი

ფლორიდა, იპლისი, 2004 წელი

„ანარქიზმის ანბანი“ პირველად 1929 წელს დაბეჭდა ნიუ-იორკის „ავანგარდ პრესმა“ სათაურით: „რა არის კომუნისტური ანარქიზმი?“. ის სამი ნაწილისგან შედგებოდა: „ახლა“, „ანარქიზმი“ და „სოციალური რევოლუცია“. 1936 წელს ის ხელახლა გამოსცა ნიუ-იორკის „*Freie Arbeiter Stimme*“-მა¹ ახალი სათაურით: „ახლა და შემდეგ: კომუნისტური ანარქიზმის ანბანი“. ბრიტანეთში კი პირველად 1942 წლის მაისში დაიბეჭდა, ამჯერად სათაურით „ანარქიზმის ანბანი“ „*Freedom Press*“-ის² მიერ, მაგრამ პირველი ნაწილის გარეშე. ჯამში ის ოთხჯერ იქნა ხელახლა გამოცემული ახლანდელი გამომცემლების მიერ.³ ეს გამოცემა ზუსტად იგივეა, რაც წინა გამოცემები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა აშკარად „გაიცვითა“. „ანარქიზმის ანბანი“ ახლა ისტორიული დოკუმენტია. ჯორჯ ვუდკოკი მას თავისუფალი ლიტერატურის პატარა კლასიკას უწოდებს. თუმცა ეს არ არის მიზეზი მისი ხელახლა გამოცემებისა. მიზეზი ისაა, რომ ის კვლავ რჩება ანარქიზმის იდეების ერთ-ერთ საუკეთესო შესავლად, რომელიც კი დაწერილა ამ თემაზე კომუნისტ-ანარქისტის თვალსაზ-

1. *Freie Arbeiter Stimme* – ანარქისტული გაზეთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იბეჭდებოდა.

2. *Freedom Press* – ყველაზე დიდი ანარქისტული გამომცემლობა დიდ ბრიტანეთში, დაარსდა 1886 წელს. გამომცემლობა რომლის 1977 წლის გამოცემიდანაც თარგმნა გამომცემლობა „აქტმა“ წინამდებარე წიგნი.

3. იგულისხმება გამომცემლობა „*Freedom Press*“.

რისით ინგლისურ ენაზე. მისი ავტორი უბრალოდ თეორეტიკოსი და „ინტელექტუალი“ კი არ იყო, არამედ მეზობელი აქტივისტი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში.

ალექსანდრე ბერკმანი 1870 წლის ნოემბერში დაიბადა ვილნოში (ვილნიუსი), რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. დრო, როცა ალექსანდრე ბერკმანი დაიბადა, რუსეთის რეაქციის ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი პერიოდი იყო. „ანტიცარისტებში“ და რევოლუციურ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. არისტოკრატ ნიჰილისტებს, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ გლეხებს შორის, ილუზიები გაუქრათ. აქტივობა უმეტესად პატარა და დიდ ქალაქებში იქნა გადატანილი. 1870-იან წლებში იმატა ტერორისტულმა აქტებმა ცარიზმისა⁴ და ოფიციალური პირების წინააღმდეგ. მასში ჩაერთო ბევრი მუშა და ხელოსანი, რომელთაგან ზოგიერთი ებრაელი იყო. 1880 წელს თითქმის მთელი ძალაუფლება მეფის ხელში გადავიდა და ათასობით რევოლუციონერი ჩამოახრჩვეს, ციხეში გამოამწყვდიეს ან ციმბირში გადაასახლეს. ახალგაზრდა ალექსანდრე ბერკმანზე დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციონერების იდეალიზმმა და თავგანწირვამ, მათ შორის რევოლუციონერმა ბიძამ, რომელიც ციმბირში იყო გადასახლებული. თხუთმეტი წლის ასაკში ბერკმანი რევოლუციის შესახებ ლიტერატურის შემსწავლელ ჯგუფს შეუერთდა. ის სკოლიდან გარიცხეს ეგრეთ წოდებული „მგლის ბილეთით“⁵, რომელიც მას თითქმის ყველა პროფესიისა და ხელობისკენ უკეტავდა გზას. თექვსმეტი წლის ალექსანდრე იძულებული გახდა რუსეთი დაეტოვებინა. 1888 წელს ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა,

4. **ცარიზმი** – სახელისუფლებო სისტემა რომლის სათავეში დგას ცარი, მონარქი ფართოდ შეუზღუდავი უფლებებით. უფრო ხშირად ცარიზმის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო რეჟიმი რუსეთში 1480-1917 წლებში (თუმცა ეს გამოყენება ტექნიკურად მართებულია მხოლოდ 1721 წლამდე, რის შემდეგაც რუსეთის მონარქები ატარებდნენ იმპერატორის ტიტულს).

5. **მგლის ბილეთი** – საბუთი, ნიგნაკი, რომელსაც აძლევდნენ სასწავლებლიდან ცუდი ქცევის გამო გარიცხულს.

მაგრამ არც ამერიკა იყო ის სამოთხე, რასაც ბევრი ემიგრანტი და მომავალი ემიგრანტი ელოდა.

1882 წელს ნიუ-იორკში რევოლუციური ძალადობის მომხრე და დამცველი – იოჰან მოსტი⁶ ჩავიდა. მან მაშინვე დაიწყო სიტყვით გამოსვლები ყველა იმ ქალაქში, სადაც ანარქისტები და რევოლუციონერი სოციალისტების ჯგუფები არსებობდა. ყველა ამერიკულ ქალაქს შორის ჩიკაგო ყველაზე ნაყოფიერი ადგილი იყო პოლიტიკური პროპაგანდისათვის. იქ, სულ ცოტა, 3000 ანარქისტი ცხოვრობდა, გამოდიოდა ერთი გერმანულენოვანი ყოველდღიური გაზეთი, ერთი ყოველკვირეული, ასევე გერმანულენოვანი, „ბოჰემიური ყოველკვირეული“ და ინგლისურენოვანი გაზეთი ორ კვირაში ერთხელ. „მშრომელთა ცენტრალური პროფკავშირი“ 1883 წელს დაარსდა. 1886 წლისთვის მას უკვე ორგანიზებული მუშების დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. რვა საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა გაზაფხულზე დაიწყო და მაისის დასაწყისისათვის 70 000 მუშა ან გაფიცული იყო, ან ჩაკეტილი თავიანთი დამქირავებლების მიერ. ბრძოლის ცენტრად „macormick Harvester Works“⁷ იქცა, რომელმაც თავისი მუშები ჩაკეტა და შტრეიკბრეხერები⁸ და 300 შეიარაღებული მებრძოლი დაიქირავა მათ დასაცავად. ქუჩის გამოსვლებს რეგულარულად არბევდნენ პოლიციელები, სამ მაისს კი მათ ბრბოს ცეცხლი გაუხსნეს და ბევრი ადამიანი მოკლეს. მომდევნო დღეს საპროტესტო გამოსვლა გაიმართა „ჰაიმარკეტ სკვერში“ მაგრამ, როცა წვიმა დაიწყო და ბრბო უკვე იშლებოდა, 200-მა

6. **იოჰან მოსტი** – ჯერ სოციალ-დემოკრატი, შემდგომში კი ანარქისტი პოლიტიკური მოღვაწე, რედაქტორი და ორატორი. მას მიანერენ „პროპაგანდა საქმით“ იდიეს პოპულარიზაციას. „პროპაგანდა საქმით“ ნიშნავდა კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებას, რომელიც სამაგალითო უნდა ყოფილიყო სხვებისთვის და კატალიზატორი რევოლუციისათვის. ძირითადად, ასოცირებულია ანარქისტების მიერ გვიანდელ მე-19 და ადრეულ მე-20 საუკუნეში განხორციელებულ ძალადობრივ აქტებთან.

7. **macormick Harvester Works** – კომბაინების ქარხანა, რომლის სამუშაო პირობებმა მუშები „ჰაიმარკეტის“ სახელით ცნობილ აჯანყებამდე მიიყვანა.

8. **შტრეიკბრეხერები** – მუშათა გაფიცვის მოლაღობე მუშები.

ანაკრძის ანბანი

ანაკრძის ანბანი

ავტორისაბან

მე ანარქიზმი მიმაჩნია ყველაზე გონივრულ და განხორციელებად კონცეფციად საზოგადოებისა, რომელიც თავისუფლებასა და ჰარმონიაში ცხოვრობს. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის უექველად განხორციელდება საზოგადოების შემდგომი განვითარების პროცესში.

დრო, თუ როდის მოხდება ეს, ორ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული: ჯერ ერთი იმაზე არსებული პირობები როდის გახდება სულიერად და ფიზიკურად აუტანელი კაცობრიობის უმეტესი ნაწილისათვის, და მეორე – ანარქისტულ მუხედულებებს როდის გაიგებენ და მიიღებენ ადამიანები.

ჩვენი საზოგადოებრივი ინსტიტუტები ეფუძნება გარკვეულ წარმოდგენებს და სანამ უმრავლესობისთვის ისინი მისაღებია, ინსტიტუტებს არაფერი არ ემუქრება. მთავრობა ძალაუფლებას ინარჩუნებს, რადგან ხალხს ჰგონია, რომ პოლიტიკური ხელისუფლება და იძულება კანონის საშუალებით აუცილებელია. კაპიტალიზმი შენარჩუნებულ იქნება მანამ, სანამ ეს ეკონომიკური სისტემა აღიქმება, როგორც გონივრული და სწორი. იმ იდეების შესუსტებას, რომლებიც აძლიერებს ბოროტებასა და დღევანდელ დამორგუნველ პირობებს, საბოლოო ანგარიშით მთავრობასა და კაპიტალიზმის სისტემის კრახთან მივყავართ. პროგრესი იმაში გამოიხატება, რომ ყველაფერი დრომოჭმული ნადგურდება და უფრო ადეკვატური კონცეფციით იცვლება.

ზედაპირული დამკვირვებლისთვისაც კი ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს დროში საზოგადოების ფუნდამენტური კონცეფციები რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. ამის

მთავარი მიზეზებია მსოფლიო ომი და რუსეთში მომხდარი რევოლუცია. ომმა გამოააშკარავა კაპიტალისტური კონკურენციის უმონწილო ხასიათი და მთავრობების სრული უუნარობა, გადანყვიტონ დავები ერებს შორის, უფრო ზუსტად კი გაბატონებულ ფინანსურ ხროვებს შორის. რამდენადაც ადამიანებმა დაკარგეს ძველი მეთოდების რწმენა, დიდი ქვეყნები ახლა იძულებულნი არიან იმსჯელონ განიარაღების შესახებ და ომების შეწყვეტის თაობაზეც კი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ერთი მინიშნებაც კი ამის შესაძლებლობაზე, მხოლოდ სიცილსა და დაცინვას იწვევდა. ზუსტად ასევე, თანდათან ინგრევა სხვა არსებული ინსტიტუტების რწმენაც. კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, მაგრამ მოსახლეობის სულ უფრო და უფრო დიდ ნაწილს ეჭვი ეპარება მის კეთილგონივრულობასა და სამართლიანობაში. რუსეთის რევოლუციამ გაავრცელა იდეები და გრძნობები, რომლებიც ძირს უთხრის კაპიტალისტური საზოგადოების ფუძემდებლურ წარმოდგენებს, განსაკუთრებით ეკონომიკისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. ოქტომბრის რევოლუციამ არა მხოლოდ რუსეთში გამოიწვია ცვლილებები, არამედ მან გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს მასებზე. ამოჩემებული ცრურწმენა იმის შესახებ, რომ რაც არსებობს მარადიულად იარსებებს, ერთხელ და სამუდამოდ შეირყა.

ომმა, რუსეთის რევოლუციამ და ომის შემდგომმა განვითარებამ ბევრ ადამიანს დაუნგრია ილუზიები სოციალიზმის შესახებ. უდავო სიმართლეა ის, რომ სოციალიზმმა, მსგავსად ქრისტიანობისა, დაიპყრო სამყარო, მაგრამ თან გაინადგურა საკუთარი თავი. ევროპის მრავალ ქვეყანაში სოციალისტური პარტიები ახლა მართავენ ან მონაწილეობას იღებენ მთავრობის საქმიანობაში, თუმცა ადამიანებს უკვე აღარ სჯერათ, რომ ეს პარტიები განსხვავდებიან ბურჟუაზიული რეჟიმებისგან. ისინი გრძნობენ, რომ სოციალიზმმა

კრაზი განიცადა, რომ ის ბანკროტია. ანალოგიურად, ბოლშევიკებმა დაამტკიცეს, რომ მარქსისტულმა დოგმებმა და ლენინურმა პრინციპებმა მხოლოდ დიქტატურასთან შეიძლება მიგვიყვანოს.

ანარქისტებისთვის ეს ყველაფერი მოულოდნელობა არ ყოფილა. ისინი ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო დამღუპველ გავლენას ახდენს ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ ჰარმონიაზე და მხოლოდ ლიკვიდაციას ავტორიტეტისა, იძულებასა და მატერიალურ უთანასწორობას რომ ეფუძნება, შეუძლია გადაწყვიტოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური პრობლემები. და თუმცა მათი არგუმენტები ცოცხალი გამოცდილებით იყო გამაგრებული, თანამედროვეების თაობას ისინი მხოლოდ თეორიებად ეჩვენებოდა მანამ, სანამ ორი უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებმა არ დაამტკიცა ანარქისტული პოზიციის სიმართლე. სოციალიზმისა და ბოლშევიზმის უუნარობამ ანარქიზმს გაუხსნა გზა.

ანარქიზმის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ისინი ძირითადად მსოფლიო ომამდეა დაწერილი. უახლეს წარსულში შექმნილი გამოცდილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ანარქისტების პოზიცია და არგუმენტები უნდა შეიცვალოს. თუმცა ფუძემდებლური პრინციპები შეიძლება უცვლელი სახით შენარჩუნდეს, უახლესი ისტორიის ფაქტები მათი მოდიფიცირების საჭიროებას ავლენს იმ თვალსაზრისით, რაც მათ პრაქტიკულ გამოყენებას ეხება. რუსეთის რევოლუციის გამოცდილება პირველ რიგში მოითხოვს ახლებურ მიდგომას სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემის მიმართ, რომელთა შორის უმთავრესია ისინი, სოციალური რევოლუციის არსს და ქმედებებს რომ ეხება.

გარდა ამისა, ანარქიზმის შესახებ წიგნები ფართო აუდიტორიისათვის, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ძნელად გასაგებია. სოციალური თემატიკისადმი მიძღვნილი წიგნებ-

ის ნაკლი ზოგადად ის არის, რომ ისინი ისეა დაწერილი, თითქოს მკითხველი უკვე მნიშვნელოვან წილად გარკვეული ამ საკითხებში, რაც სრულებითაც არ არის ასე. შედეგად, ძალიან ცოტაა ისეთი წიგნი, რომელიც სოციალურ პრობლემას უბრალოდ და გასაგებად წარმოაჩენს.

სწორედ ამ მიზეზის გამო მე მოცემულ მომენტში აუცილებლად მიმაჩნია ხელახლა წარმოგიდგინოთ ანარქისტული პოზიცია ისეთი მარტივი და ნათელი სიტყვებით, რომ ის ყველასთვის გასაგები იყოს. სწორედ ეს იქნება ანარქიზმის ანბანი.

მომდევნო გვერდები სწორედ ამ მიზნითაა დაწერილი.

აღექსანდრა ბერკმანი

კარიზი, 1928 წელი

თავი I შესავალი

მე მინდა მოგიყვეთ ანარქიზმის შესახებ.

მინდა აგიხსნათ რა არის ანარქიზმი. რადგან ვფიქრობ, რომ თქვენ ეს უნდა იცოდეთ. თუნდაც იმიტომ, რომ ამის შესახებ ნაკლებად არის ცნობილი და ისიც სადღაც ყურმოკრულით, რაც უმეტესწილად სრულიადაც არ შეესაბამება სიმართლეს.

მე მინდა ამის შესახებ მოგიყვეთ, რადგან ვფიქრობ, რომ ანარქიზმი არის ყველაზე დიდი და მშვენიერი რამ, რაზეც კი კაცობრიობას ოდესმე უფიქრია. მხოლოდ მას შეუძლია მოგცეს თავისუფლება და კეთილდღეობა, მშვიდობა და სიხარული მოუტანოს სამყაროს.

მე მინდა ანარქიზმის შესახებ მოგიყვეთ რაც შეიძლება მარტივად და გასაგებად, რათა არავითარი გაუგებრობა არ წარმოიშვას. მაღალფარდოვანი სიტყვები და ჟღერადი ლოზუნგები დაბნეულობას იწვევს მხოლოდ. მარტივი აზრები მარტივად გადმოცემას მოითხოვს.

მაგრამ სანამ იმას გეტყვით თუ რა არის ანარქიზმი, მე მინდა გითხრათ თუ რა არ არის ის.

ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ანარქიზმზე უამრავი სიცრუეა გავრცელებული. გონიერ ადამიანებსაც კი მასთან დაკავშირებით ხშირად სრულიად გაუკუღმართებული წარმოდგენა აქვთ. ანარქიზმის შესახებ ბევრი ისეთი ადამიანი ლაპარაკობს, რომელმაც მასზე საერთოდ არაფერი იცის, ზოგი კი განზრახ ავრცელებს სიცრუეს ანარქიზმის თაობაზე, რადგან მათ სურთ, რომ თქვენ სიმართლე არ იცოდეთ.

ანარქიზმს მრავალი მტერი ჰყავს, რომლებიც, რა თქმა უნდა, სიმართლეს დამალავენ. საიდან გაჩნდა ასეთი მტრული დამოკიდებულება მის მიმართ და ვინ არიან ეს მტრები, თქვენ ამ წიგნიდან შეიტყობთ მოგვიანებით, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ არც თქვენი პოლიტიკური ლიდერი, არც თქვენი დამქირავებელი, არც კაპიტალისტი, არც პოლიციელი, ანარქიზმის შესახებ პატიოსნად და გულახდილად არ დაგელაპარაკებიან. მათმა უმრავლესობამ ამასთან დაკავშირებით არც არაფერი იცის და ყველა მათგანს სძულს ის. მათი გაზეთები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კაპიტალისტური პრესა, ასევე ანარქიზმის წინააღმდეგაა განწყობილი.

სოციალისტებისა და ბოლშევიკების უმრავლესობაც კი, მას სრულიად დამახინჯებული სახით წარმოგვიდგენს, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მათმა დიდმა ნაწილმა არაფერი იცის ანარქიზმის შესახებ, მაგრამ ვინც იცის ისინიც კი სიმართლეს ხშირად არ ამბობენ და ანარქიზმს „უწესრიგობასთან და ქაოსთან“ აიგივებენ. ნახეთ როგორი უპატიოსნო არიან ისინი ამ საკითხში. სოციალიზმის მასწავლებლები – კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი – ამტკიცებდნენ, რომ ანარქიზმი სოციალიზმიდან გამომდინარეობს. ისინი აცხადებდნენ, რომ ჯერ უნდა დამყარდეს სოციალიზმი და მას მოჰყვება ანარქიზმი, რომელიც ადამიანთა ცხოვრების კიდევ უფრო თავისუფალი და უკეთესი ფორმაა, ვიდრე სოციალიზმი. მაგრამ სოციალისტები, რომლებიც მარქსისა და ენგელსის მზეს ფიცულობენ, ერთხმად ლანძღავენ ანარქიზმს, როგორც „ქაოსსა და უწესრიგობას“. ეს ყველაფერი გვიჩვენებს რამდენად უმეცრები და არაკეთილსინდისიერები არიან ისინი.

ანარქიზმი – ეს არ არის ბომბები, უწესრიგობა და ქაოსი.

ეს არ არის ძარცვა და მკვლელობა.

ეს არ არის ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.

ეს არ არის ბარბაროსობასთან, თუ კაცობრიობის პირველყოფილ მდგომარეობასთან დაბრუნება.

ანარქიზმი ამ ყველაფრის სრულიად საპირისპიროა.

ანარქიზმი ნიშნავს, რომ თქვენ თავისუფალი იქნებით, რომ ვერავინ დაგიმონებთ, ვერავინ გიბრძანებთ, ვერავინ გაგძარცვავთ და ვერავინ დაგცინებთ.

ანარქიზმი ნიშნავს, რომ თქვენ გექნებათ თავისუფლება გააკეთოთ ის, რასაც მოისურვებთ და ვერავინ შეძლებს გააკეთებინოთ რაიმე თქვენი ნების სანინალმდეგო.

ის ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ, მოიწყოთ თქვენი ცხოვრება ვინმეს ჩარევის გარეშე ისე, როგორც თქვენ მოისურვებთ.

ის ნიშნავს, რომ თქვენი მეზობელიც ისევე თავისუფალია, როგორც თქვენ. რომ თითოეულს თანაბარი უფლება და თავისუფლება აქვს.

ის ნიშნავს, რომ ადამიანები ერთმანეთის ძმები არიან და, როგორც ძმებმა, სიმშვიდესა და ჰარმონიაში უნდა იცხოვრონ.

ის ნიშნავს, რომ არ იქნება ომები, არ იქნება ძალადობა ადამიანთა ერთი ჯგუფისა მეორეზე. არავითარი მონოპოლია, არავითარი სიღარიბე, არავითარი ჩაგვრა, არავითარი ექსპლუატაცია სხვა ადამიანისა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ანარქიზმი ეს არის საზოგადოების ფორმა, რომელშიც კაცი და ქალი თავისუფალია და ისინი მონესრიგებული და გონივრული ცხოვრების სიკეთებით თანაბრად სარგებლობენ.

„შესაძლებელია თუ არა საერთოდ ასეთი საზოგადოების არსებობა? – იკითხავთ თქვენ, – და თუ შესაძლებელია, როგორ?“.

„მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ, ყველანი, ანგელოზები გავხდებით“, – აცხადებს თქვენი მეგობარი.

მოდით ვიმსჯელოთ ამის შესახებ. იქნებ შევძლო დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია წესიერები ვიყოთ და წესიერად ვიცხოვროთ, მაშინაც კი, თუ ფრთები არ ამოგვივა.

ბამოხჯემობა „აქტი“-ს მიერ ბამოხჯემული ნიბნეხი

ფრიდრის ნიცშე

ანტიქრისტე

ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
სიკეთისა და ბოროტების მიღმა

კარლ იასპერსი

ნიცშე და ქრისტიანობა
ფილოსოფიის შესავალი

სიორენ კირკეგორი

შიში და თრთოლვა
სატანჯველის სახარება

ზიგმუნდ ფროიდი

სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
მოსე და მონოთეიზმი
ეგო და ID

ლევ შესტოვი

უსაფუძვლობის აპოთეოზი
შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

ბერტრან რასელი

ესეები
ქორწინება და მორალი

ედმუნდ ჰუსერლი
ამსტერდამული მოხსენებები
მიგელ დე უნამუნო
ქრისტიანობის აგონია

ნიკოლაი ბერდიაევი
ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

იმანუელ კანტი
მარადიული მშვიდობისკენ

ერის ფრომი
ადამიანის სული

სვამი ვივეკანანდა
ძველი ინდური ფილოსოფია
შთაგონებული საუბრები
კარმა-იოგა
მედიტაცია და მისი მეთოდები

მერაბ მამარდაშვილი
ცნობიერება და ცივილიზაცია
რაციონალურობის კლასიკური და
არაკლასიკური იდეალები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი
ეტიუდები სიყვარულზე

გუსტავ ლე ბონი
მასების ფსიქოლოგია
ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი

თავისუფლება ცნობილისგან
სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
მედიტაცია

ოშო

რა არის მედიტაცია?
სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ემა გოლდმანი

ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დევიდ ლოურენსი

ფსიქონალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა

ომის მეტაფიზიკა

ჯორჯ ბერკლი

ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

მაჰათმა განდი

გზა ღმერთისაკენ

გიორგი გურჯიევი

დანახული რეალური სამყაროდან
ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II

ეკჰარტ ტოლე

ანმეოს ძალა

ირაკლი ბრაჭული

ზეკაცის პერმენევიტიკა: პიეროფანიები და
ენერგეტიკული პარადიგმები

ნონა ხიდუშელი

მეტამორფოზა
Carpe diem

ალექსანდრე ბერკმანი

ანარქიზმის ანბანი

ავტორთა ჯგუფი

სპინოზას ფილოსოფია

ჟან-პოლ სარტრი

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია